

## შეტყობინება

### უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საწინააღმდეგო და კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურების შესახებ

ტერორიზმის დაფინანსების და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს მთავრობების მიერ წარმოებული ბრძოლის დასახმარებლად, კანონი მოითხოვს ყველა ფინანსური ინსტიტუტისგან, რომ მოიპოვოს, გადაამოწმოს და შეინახოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მასთან ანგარიშის გამხსნელი პირის თუ ორგანიზაციის იდენტიფიცირებისთვის. კანონი გვავალდებულებს, მოგთხოვოთ სახელის, მისამართის, დაბადების თარიღის, ასევე თქვენი, თქვენი ორგანიზაციის და მასთან დაკავშირებული პირების შესახებ სხვა ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდება, რაც მოგვეცემს შესაძლებლობას, ჩვენთან ანგარიშის გახსნის საბოლოო დამტკიცებამდე, მოვახდინოთ თქვენი იდენტიფიკაცია. ჩვენ ასევე მოვითხოვთ შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოწოდებას, როგორცაა ეროვნული პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა ან თქვენი ორგანიზაციის წესდება, ასევე შეიძლება მოვიპოვოთ საკრედიტო ან სხვა სამომხმარებლო მონაცემები (რეპორტები), რაც აუცილებელი თუ ხელისშემწყობია თქვენი იდენტიფიკაციისთვის, ასევე იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებთ თუ არა ჩვენთან ანგარიშის გახსნის კრიტერიუმებს. თუ თქვენ არ მოგვაწვდით მოთხოვნილ ინფორმაციას და დოკუმენტებს, ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენთვის ანგარიშის გახსნას. „კაუკასუს კაპიტალში“ ანგარიშის გახსნის განაცხადის (აპლიკაციის) წარმოდგენით: (ა) თქვენ აცხადებთ თანხმობას მოგვაწოდოთ ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია, „კაუკასუს კაპიტალის“ მოთხოვნების შესაბამისად, და ასევე, (ბ) თქვენ ანიჭებთ „კაუკასუს კაპიტალს“ უფლებამოსილებას მოიპოვოს თქვენს შესახებ საკრედიტო და სხვა სამომხმარებლო მონაცემები, ზემოხსენებული მიზნების განსახორციელებლად.

## შეტყობინება „არა-სასესიო ვაჭრობის“ რისკების შესახებ

სპეციფიკური მახასიათებლები და რისკები ახლავს თან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას ბირჟების ოფიციალური სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ პერიოდებში („არა-სასესიო ვაჭრობა“). „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტებმა უნდა გააცნობიერონ ეს რისკები და გადაწყვიტონ შეეფერება თუ არა არა-სასესიო ვაჭრობა მათ მიზნებსა და გამოცდილებას. კლიენტები ვალდებული არიან გაეცნონ იმ ბაზრების (ბირჟების) სამუშაო (სავაჭრო) საათებს სადაც ისინი აპირებენ ვაჭრობას, რათა განსაზღვრონ თუ როდის მოახდინონ კონკრეტულ ფასიან ქაღალდებზე დავალებების მიცემა, თუ როგორ უნდათ რომ განხორციელდეს ამ დავალებების გადამისამართება და, ასევე, თუ როგორი ტიპის დავალებები გამოიყენონ. „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ არა-სასესიო ვაჭრობის შესაძლებლობის შეთავაზება კლიენტებისთვის არ ნიშნავს, რომ ამგვარი ვაჭრობა იქნება წარმატებული ან შესაფერისი ყველა კლიენტისა თუ გარიგებისთვის.

არა-სასესიო ვაჭრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი რისკებია:

1. დაბალი ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობა ნიშნავს შესაძლებლობას ნაკლები დანაკარგებით და მინიმალურ დროში მოხდეს ფასიანი ქაღალდის ყიდვა ან გაყიდვა ბაზრის მონაწილეთა მიერ. საზოგადოდ, რაც მეტი განაცხადია ბაზარზე, მით მეტია ლიკვიდურობა. ლიკვიდურობა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან რაც მეტია ლიკვიდურობა, მით უფრო ადვილია ინვესტორთათვის ფასიანი ქაღალდების ყიდვა თუ გაყიდვა და, შედეგად, ინვესტორებს მეტი შანსი აქვთ გადაიხადონ ან მიიღონ კონკურენტული ფასი შექმნილ თუ გაყიდულ ფასიან ქაღალდებში. ბირჟის ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ პერიოდებში ვაჭრობისას, ლიკვიდურობა, როგორც წესი, ნაკლებია. შედეგად, თქვენი დავალება შეიძლება საერთოდ არ შესრულდეს, ან შესრულდეს მხოლოდ ნაწილობრივ.
2. ფასების მაღალი ვოლატილობის რისკები. ვოლატილობა ნიშნავს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას მათი ფასების ცვლილებას, მერყეობას. საზოგადოდ, რაც მეტია ვოლატილობა, მით მეტია ფასების გადახრა. ვოლატილობა, როგორც წესი, უფრო მაღალია არა-სასესიო ვაჭრობისას. შედეგად, ასეთ დროს თქვენი დავალება შეიძლება საერთოდ არ შესრულდეს, შესრულდეს ნაწილობრივ, ან კიდევ შესრულდეს უარეს ფასად, ვიდრე ბირჟების ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებში რომ განხორციელებულიყო.
3. ფასების ცვლილების რისკი. ფასები არა-სასესიო ვაჭრობისას შეიძლება არ ასახავდეს ბირჟების სამუშაო (სავაჭრო) საათების დახურვის ან მომდევნო დღის სამუშაო საათების გახსნის ფასებს. ამის შედეგად თქვენი დავალება შეიძლება შესრულდეს უარეს ფასად ვიდრე ბირჟების ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებში რომ განხორციელებულიყო.
4. დაუკავშირებელი (ერთმანეთისგან მოწყვეტილი) ბაზრების რისკი. იმისდა მიხედვით, თუ რა სისტემებია გამოყენებული არა-სასესიო ვაჭრობისას ან დღის რომელ მონაკვეთში ხდება იგი, კონკრეტულ არა-სასესიო ვაჭრობის სისტემაში ასახული ფასები შეიძლება არ ასახავდეს იმავდროულად მოქმედ სხვა არა-სასესიო

ვაჭრობის სისტემის ფასებს იმავე ფასიან ქალაქებზე. ამის შედეგად თქვენი დავალება შეიძლება შესრულდეს უარეს ფასად, ვიდრე ბირჟების ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებში რომ განხორციელდებოდა.

5. ახალი ამბების გამოცხადების რისკი. როგორც წესი, იმგვარი ახალი ამბების ან მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაციის გამოცხადებას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ფასიანი ქალაქების ფასებზე, ემიტენტები ახდენენ ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათების შემდეგ. ასევე, მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაციის გამოცხადება, ხშირად ხდება ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ დროს. ამრიგად, არა-სასესიო ვაჭრობისას ამგვარი ახალი ამბების/ინფორმაციის გამოცხადების ალბათობა იზრდება და დაბალი ლიკვიდურობასა და მაღალ ვოლატილობასთან კომბინაციაში, შეიძლება მოახდინოს გაუმართლებლად გადაჭარბებული დროებითი ზემოქმედება ფასიანი ქალაქის ფასზე.
6. გაფართოებული სპრედების რისკი. სპრედი ნიშნავს სხვაობას იმ ფასებს შორის რომელთაც შეიძლება ფასიანი ქალაქის ყიდვა ან გაყიდვა (ანუ, ყიდვასა და გაყიდვაზე განაცხადების ფასებს შორის ინტერვალს). დაბალი ლიკვიდურობა და მაღალი ვოლატილობა არა-სასესიო ვაჭრობისას განაპირობებს უფრო ფართო სპრედებს, ვიდრე ეს ახასიათებს კონკრეტულ ფასიან ქალაქს ბირჟების მუშაობის ჩვეულებრივ სავაჭრო საათებში.
7. წარმოებული ინსტრუმენტებისთვის „საბაზისო ინდექსის სიდიდის“ („სის“) ან „საშუალო დღიური ინდიკატორი სიდიდის“ („სდის“) დაუდგენლობის ან საჯარო გაუფრცვლელლობის რისკი. რიგი წარმოებული ფასიანი ქალაქებისთვის, „სის“ ან „სდის“ გამოთვლა ან გასაჯაროება შეიძლება არ ხდებოდეს ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ პერიოდებში. ვინაიდან „სის“ ან „სდის“ გამოთვლა ან გასაჯაროება არ ხდება ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათების დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ, ამიტომ ინვესტორი, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას გამოთვალოს გარკვეული წარმოებული ფასიანი ქალაქების ფასის დადგენისთვის აუცილებელი სიდიდეები, შეიძლება აღმოჩნდეს არათანაბარ მდგომარეობაში ბაზრის პროფესიონალებთან შედარებით. ამას გარდა, იმ ფასიან ქალაქებზე ვაჭრობა, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის ინდექსებს ან პორტფელს, შეიძლება საერთოდ არ ხდებოდეს ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ პერიოდებში ან ხდებოდეს გარკვეული ხარვეზებით და შეფერხებებით. ამის შედეგად ფასები არა-სასესიო ვაჭრობისას შეიძლება არ ასახავდეს ბირჟების ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებში დადგენილ ფასებს.
8. ინდექსების სიდიდეები. ბირჟები არ ახდენენ იმ ინდექსების სიდიდეთა გამოცხადებას, რომელიც საფუძვლად უდევს ინდექსის ოფციონებს, რომლებიც ივაჭრება ბირჟების ჩვეულებრივი სამუშაო (სავაჭრო) საათებისგან განსხვავებულ პერიოდებში, ვინაიდან ამგვარი ინდექსების გამოთვლა ამგვარ პერიოდებში არ ხდება.

არა-სასესიო ვაჭრობისას „კაუკასუს კაპიტალმა“ შეიძლება მოახდინოს ყიდვა-გაყიდვის განაცხადების („კოტირებების“) მოწოდება სხვადასხვა ე.წ. „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებიდან“ (Electronic Communications Networks - "ECNs"), ბირჟებიდან ან სხვა სავაჭრო სისტემებიდან („არა-სასესიო ვაჭრობის სისტემები“), ან ამგვარი სისტემების მეშვეობით გარიგებების დადება. კოტირებები არა-სასესიო ვაჭრობისას შეიძლება განსხვავდებოდეს ბირჟების ჩვეულებრივ სამუშაო (სავაჭრო) საათებში მოწოდებული კოტირებებისგან. ასევე, „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ მოწოდებული კოტირებები იმ არა-სასესიო ვაჭრობის სისტემებიდან, რომელზეც „კაუკასუს კაპიტალს“ აქვს კლიენტისთვის გარიგების დადების შესაძლებლობა, შეიძლება იყოს ნაკლებად ხელსაყრელი იმ არა-სასესიო ვაჭრობის სისტემების კოტირებებთან შედარებით, რომელზეც „კაუკასუს კაპიტალს“ წვდომა არ გააჩნია. „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია უკანასკნელი გარიგების შესახებ შეიძლება არ ასახავდეს ყველა არა-სასესიო ვაჭრობის სისტემებში უკანასკნელ მომენტში დადებულ გარიგებას.

ინფორმაცია ბირჟების და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ჩვეულებრივი სამუშაო საათების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამისი ბირჟების (სავაჭრო მოედნების) ვებგვერდებზე.

## შეტყობინება ობლიგაციებით ვაჭრობასთან დაკავშირებით

წინამდებარე შეტყობინებაში განხილულია „კაუკასუს კაპიტალის“ დახმარებით ობლიგაციებით ვაჭრობის მახასიათებლები და რისკები. ობლიგაციებით ვაჭრობის დაწყებამდე თქვენ უნდა გაიაროთ კონსულტაცია, რათა დარწმუნდეთ, რომ ამგვარი ინვესტიცია შეესაბამება თქვენს ფინანსურ მიზნებს.

ნებისმიერი კონკრეტული ობლიგაციით ვაჭრობამდე უნდა გააცნობიეროთ ამ ობლიგაციის ზუსტი მახასიათებლები და პირობები, მათ შორის მისი საკრედიტო რეიტინგი, ვადიანობა, სარგებელი, არის თუ არა ის ვადაზე ადრე გამოსყიდვადი და სხვა არსებითი ინფორმაცია.

ობლიგაციებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციას შეიძლება გაეცნოთ ობლიგაციების ბაზრის ასოციაციის მიერ მხარდაჭერილ ვებგვერდზე: [www.investingbonds.com](http://www.investingbonds.com).

### თავი 1. ობლიგაციების მახასიათებლები

#### 1.1. რა არის ობლიგაცია?

ობლიგაცია არის საპროცენტო სარგებლიანი (კუპონური) ან დისკონტირებული ფასიანი ქაღალდი, გამოშვებული ემიტენტის - მთავრობის (ცენტრალური ან ადგილობრივი) ან კომპანიის - მიერ, რომელიც ავალდებულებს ემიტენტს გადაუხადოს მის მფლობელს გარკვეული თანხა (როგორც წესი, დათქმული პერიოდულობით) და დაუბრუნოს გასესხებული ძირითადი თანხა ობლიგაციის დაფარვის ვადის დადგომისას. კომპანიისთვის ეს არის თანხების მოზიდვის ალტერნატივა, განსხვავებული აქციების გამოშვებისგან.

#### 1.2. ობლიგაციის ტიპები

##### ა. აშშ მთავრობის ობლიგაციები

აშშ მთავრობის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს უწოდებენ სახაზინო ფასიან ქაღალდებს. ისინი დაყოფილი არიან სამ კატეგორიად: (1) სახაზინო ვალდებულებები (Treasury bills); (2) სახაზინო ბილეთები (Treasury notes); და (3) სახაზინო ობლიგაციები (Treasury bonds). თითოეულ კატეგორიას გააჩნია განსხვავებული ვადიანობა (დაფარვის ვადა). სახაზინო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია შტატის და ადგილობრივი გადასახადებისგან, მაგრამ აიბეგრება ცენტრალური (ფედერალური) გადასახადით. აშშ სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია ითვლება ობლიგაციებში ყველაზე უსაფრთხო ინვესტიციად, ვინაიდან ის გარანტირებულია აშშ მთავრობის მიერ და მასთან დაკავშირებული დეფოლტის ალბათობა უაღრესად მცირეა. თუმცა უფრო მაღალი ვადიანობის მქონე სახაზინო ფასიანი ქაღალდებს გააჩნიათ ინფლაციის და საკრედიტო რისკის უფრო მაღალი პოტენციალი.

[Type here]



## ბ. მუნიციპალური ობლიგაციები

მუნიციპალური ობლიგაციები წარმოადგენენ შტატის ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოშვებულ სასესხო ვალდებულებებს. მათი გამოშვებით მოზიდული სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ხელისუფლების ზოგად საჭიროებებზე ან კონკრეტულ პროექტებზე. მუნიციპალური ობლიგაციები ითვლება უფრო სარისკო ინვესტიციად ვიდრე სახაზინო ფასიანი ქაღალდები, თუმცა ისინი განთავისუფლებული არიან ფედერალური გადასახადებისგან და ხშირად ადგილობრივი ხელისუფლებაც ათავისუფლებს თავის მოქალაქეებს ამ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის ადგილობრივი გადასახადისგან. თუმცა მუნიციპალურ ობლიგაციებს ხშირად აქვთ უფრო დაბალი კუპონური სარგებელი.

## გ. კორპორაციული ობლიგაციები

კორპორაციული ობლიგაციები წარმოადგენენ კერძო კომპანიების მიერ გამოშვებულ სასესხო ვალდებულებებს. მათ, როგორც წესი, გააჩნიათ ოთხი განსხვავებული მახასიათებელი: (1) ისინი ექვემდებარებიან დაბეგვრას; (2) მათი ნომინალური ღირებულება, ხშირად, \$1000-ია; (3) მათ გააჩნიათ ფიქსირებული ვადიანობა (ერთი დაფარვის ვადა) და დაფარვა ხდება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი (სარეზერვო) ფონდიდან (sinking fund); და (4) მათზე ვაჭრობა ხდება ძირითად ბირჟებზე და მათი ფასები ქვეყნდება გაზეთებში. კორპორაციული ობლიგაციები გამოდის სხვადასხვა ვადიანობით. ისინი ითვლება ყველაზე სარისკო ობლიგაციებად, ვინაიდან მასთან გაცილებით მაღალ საკრედიტო რისკია დაკავშირებული, თუმცა ეს ამავდროულად ნიშნავს, რომ მათი მფლობელები უფრო მაღალ საპროცენტო სარგებელს იღებენ. დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე კომპანიებიც უშვებენ ობლიგაციებს და ამ სპეკულაციურ პროდუქტებს „ნაგავ ობლიგაციებს“ (junk bonds) უწოდებენ. როგორც აღვნიშნეთ, მათი ნომინალური ღირებულება, ხშირად \$1000-ია, მაგრამ მათი ფასების კოტირება ხდება \$100-ის ექვივალენტის მიმართ ხდება. მაგალითად, თუ გამოცხადებული კოტირება არის 80, ეს ნიშნავს რომ ობლიგაციის ფასი \$800-ია. ფასის \$10-ზე ნაკლები კომპონენტის კოტირება ხდება მერვედებში (ანუ \$1.25-ში). ასე, მაგალითად, კოტირება 80 1/8 ნიშნავს, რომ ობლიგაციის ფასი \$801.25-ის ტოლია.

ობლიგაცია ითვლება კონვერტირებად, თუ შეიძლება მისი გარდაქმნა (კონვერტირება) სხვა ფორმის კორპორაციულ ფასიან ქაღალდად, ხშირად - ჩვეულებრივ აქციად. კონვერტირება ხდება მხოლოდ განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ ფასად, განსაზღვრული პირობების დადგომისას, და ეს ყველაფერი დეტალურად გაწერილია (განსაზღვრულია) ობლიგაციის გამოშვებისას.

## დ. ნულოვან-კუპონიანი ობლიგაციები

ამგვარ ობლიგაციებზე არ ხდება საპროცენტო სარგებლის პერიოდული გადახდა, არამედ დაფარვისას ხდება ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის ერთიანად გადახდა. თუმცა ამგვარი ობლიგაციების მომგებიანობა, როგორც წესი, საკმაოდ მაღალია და ისინი მიმზიდველია მათთვის, ვისაც მთლიანი თანხა სჭირდება განსაზღვრული დროისთვის (მაგალითად, ვინც ფულს აგროვებს თავისი შვილების კოლეჯისთვის). თუმცა ინვესტორები ვალდებული არიან პერიოდულად გადაიხადონ გადასახადი დარიცხულ (დაგროვილ) საპროცენტო სარგებელზე და არა მაშინ როცა ისინი ამ სარგებელს მიიღებენ.

### 1.3. ობლიგაციების რეიტინგი

Standard & Poor's, Moody's და Fitch სარეიტინგო სააგენტოები ანიჭებენ რეიტინგებს მთავრობებს და კომპანიებს, რაც ხელს უწყობს მათ მიერ გამოშვებულ ობლიგაციებზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის განსაზღვრას. ობლიგაციების რეიტინგის სისტემა მოცემულია ქვემოთოყვანილ ცხრილში. ცხრილში რაც უფრო დაბლა ჩავდივართ - მით მაღალია დეფოლტის რისკი (ობლიგაციებთან დაკავშირებულ საკრედიტო და სხვა რისკების თაობაზე იხ. „თავი 2“ ქვემოთ).

Moody's		S&P		Fitch		რეიტინგის აღწერა	
გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი		
Aaa	P-1	AAA	A-1+	AAA	F1+	პრაიმ (უმაღლესი) Prime	საინვესტიციო კატეგორია
Aa1		AA+		AA+		მაღალი კატეგორია	
Aa2		AA		AA		ზედა-საშუალო კატეგორია	
Aa3		AA-		AA-			
A1		A+	A+	F1			
A2	A	A	F2	ქვედა-საშუალო კატეგორია			
A3	A-	A-					
Baa1	P-2	BBB+	A-2	BBB+			
Baa2	P-3	BBB	A-3	BBB	F3		
Baa3		BBB-		BBB-			
Ba1	Not prime	BB+	B	BB+	B	არა- საინვესტიციო კატეგორია	არა- საინვესტიციო კატეგორია
Ba2		BB		BB		სპეკულაციური	
Ba3		BB-		BB-		მეტად სპეკულაციური	
B1		B+		B+			
B2		B		B			
B3		B-		B-			
Caa1		CCC+	C	CCC	C	მნიშვნელოვანი რისკები	ანუ „ნაგავი ობლიგაციები“
Caa2		CCC				უარესად სპეკულაციური	
Caa3	CCC-	დეფოლტი ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს მდგომარეობის გამოსწორების შანსის გარეშე					
Ca	CC						
	C						
C				DDD			
/		D	/	DD	/	დეფოლტი დამდგარია	
				D			

## რეიტინგის დონეების განსაზღვრებები

Moody's	Standard & Poor's	Fitch	კრედიტუნარიანობა
Aaa	AAA	AAA	მოვალეს გააჩნია უაღრესად ძლიერი შესაძლებლობები/უნარი დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები
Aa1	AA+	AA+	მოვალეს გააჩნია მაღალი ძლიერი შესაძლებლობები/უნარი დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. უმაღლესი რეიტინგის მოვალეებისგან ის სულ ოდნავ განსხვავდება.
Aa2	AA	AA	
Aa3	AA-	AA-	
A1	A+	A+	მოვალეს გააჩნია ძლიერი შესაძლებლობები/უნარი დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები, თუმცა ის გარკვეულწილად უფრო ექვემდებარება გარემოებათა და ეკონომიკური პირობათა ცვლილებების უარყოფით ეფექტებს, ვიდრე უფრო მაღალრეიტინგული მოვალეები
A2	A	A	
A3	A-	A-	
Baa1	BBB+	BBB+	მოვალეს გააჩნია ადეკვატური შესაძლებლობები/უნარი დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. თუმცა უარყოფითმა ეკონომიკურმა პირობებმა და ცვალებადმა გარემოებებმა მეტი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ვალდებულებათა დაკმაყოფილების უნარის შესუსტება.
Baa2	BBB	BBB	
Baa3	BBB-	BBB-	
Ba1	BB+	BB+	ახლო მომავალში მოვალე ნაკლებად მოწყვლადია ვიდრე სხვა ნაკლებრეიტინგიანი მოვალეები, თუმცა ის დგას მნიშვნელოვანი მიმდინარე განუზღვრელობების და უარყოფითი ზიზნის, ფინანსური თუ ეკონომიკური გარემოებების წინაშე, რის შედეგადაც შეიძლება აღმოჩნდეს რომ მას არ გააჩნია ადეკვატური შესაძლებლობები/უნარი თავისი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.
Ba2	BB	BB	
Ba3	BB-	BB-	
B1	B+	B+	მოვალე უფრო მოწყვლადია ვიდრე BB რეიტინგის მქონე მოვალეები, მაგრამ მას ამყამად გააჩნია შესაძლებლობა/უნარი დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. უარყოფითმა ზიზნის, ფინანსური თუ ეკონომიკური გარემოებები, სავარაუდოდ, შესუსტებს მოვალის უნარს ან მზაობას დააკმაყოფილოს თავისი ფინანსური ვალდებულებები.
B2	B	B	
B3	B-	B-	
Caa	CCC	CCC	მოვალე ამჟამად მოწყვლადია და დამოკიდებულია ხელსაყრელ ზიზნის, ფინანსურ თუ ეკონომიკურ გარემოებებზე, რომ მოახერხოს თავისი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილება.
Ca	CC	CC	მოვალე ამჟამად უაღრესად მოწყვლადია.
	C	C	მოვალე ამჟამად უაღრესად მოწყვლადია და უდიდესი ალბათობით - გადახდისუნარო. რეიტინგის ეს კატეგორია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როცა გაკოტრების საქმე არის აღძრული.
C	D	D	მოვალემ ვერ მოახერხა შესაბამის ვადებში დაკმაყოფილებინა ერთი ან მეტი თავისი ფინანსური ვალდებულება (რეიტინგის მქონე თუ არამქონე).
e, p	pr	Expected	გარკვეულ ვალდებულებებს შეიძლება მიენიჭოს წინასწარი რეიტინგი, მანამ სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო დოკუმენტაცია და იურიდიული დასკვნები, საბოლოო რეიტინგი შეიძლება განსხვავებული იყოს წინასწარისგან.
WR			რეიტინგი გაუქმებულია გარკვეული მიზეზით, როგორცაა, მაგალითად: ვალდებულების დაფარვის ვადის გასვლა, ვადაზე ადრე დაფარვა, კონვერტაცია და ა.შ. ან ზიზნის-გარემოებათა გამო (მაგალითად გამოშვებული სასესხო ვალდებულების მოცულობის შეცვლა), ან კიდევ, ემიტენტის დეფოლტი.
Unsolicited	Unsolicited		რეიტინგი ინიცირებული იყო სარეიტინგო სააგენტოს მიერ და არ იყო მოთხოვნილი ემიტენტის მიერ.
	SD	RD	ეს რეიტინგი ენიჭება მაშინ, როცა სააგენტოს მიაჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ შერჩევითად უარი განაცხადა თავისი ფასიანი ქაღალდების რომელიმე ემისიასთან ან კლასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებაზე, ის გააგრძელებს იმ გადახდის ვალდებულებათა დროულ შესრულებას, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების სხვა ემისიებთან თუ სხვა კლასებთან.
NR	NR	NR	რეიტინგის განხორციელების მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია, ან არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია რეიტინგის მოსამზადებლად.



## საინვესტიციო კატეგორია

ჩაითვლება, რომ ობლიგაცია მიეკუთვნება საინვესტიციო კატეგორიას თუ მისი საკრედიტო რეიტინგი არის BBB- ან უფრო მაღალი Standard & Poor's-ის მიხედვით ან Baa3 ან უფრო მაღალი Moody's -ს მიხედვით. საზოგადოდ, ეს არის ობლიგაციები, რომლებსაც, სარეიტინგო სააგენტოების განსჯით, გააჩნიათ თავის ვალდებულებათა დაკმაყოფილების უნარი და ბანკების მიერ მათში ინვესტირება ნებადართულია.

რეიტინგები ასრულებენ კრიტიკულ როლს იმის განსაზღვრაში, თუ რამდენი უნდა გადაიხადონ კომპანიებმა თუ სასესხო ვალდებულებათა სხვა ემიტენტებმა (სუვერენული მთავრობების ჩათვლით), საკრედიტო ბაზარზე შესასვლელად, ანუ რა საპროცენტო სარგებელი უნდა გადაიხადონ მათ გამოშვებულ სასესხო ვალდებულებებზე. საინვესტიციო და სპეკულაციურ კატეგორიებს შორის არსებული ზღვარი მნიშვნელოვან საბაზრო ზეგავლენას ახდენს ემიტენტის სასესხო ხარჯებზე.

ობლიგაციები, რომლებიც არ განეკუთვნება საინვესტიციო კატეგორიას, მოიხსენება როგორც მაღალშემოსავლიანი ან - დაცინვით - „ნაგავ ობლიგაციებად“ (junk bonds).

ითვლება, რომ საინვესტიციო კატეგორიის კორპორაციულ ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები მნიშვნელოვნად აღემატება ე.წ. „პირველი კლასის“ სამთავრობო ობლიგაციებთან ასოცირებულ რისკებს. „პირველი კლასის“ სამთავრობო ობლიგაციათა და საინვესტიციო კატეგორიის კორპორაციული ობლიგაციათა სარგებლის განაკვეთებს შორის სხვაობას უწოდებენ საინვესტიციო კატეგორიის სპრედს. ამ სპრედის სიდიდე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისადმი ბაზრის ნდობის ინდიკატორს. რაც უფრო მაღალია სპრედი (ანუ რისკის პრემიუმი) - მით უფრო სუსტად მიაჩნიათ ეკონომიკა.

ობლიგაციის რეიტინგის მონიტორინგი მეტად საშური საქმეა, ვინაიდან რეიტინგის ცვლილებები დამოკიდებულია სწორედ იმ ფაქტორებზე, რაც კომპანიის სანდოობას განაპირობებს.

რეიტინგები, რომლებიც წარმოჩნდება „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ შემოთავაზებულ ობლიგაციებთან მიმართებაში არის წყაროებიდან, რომლებიც „კაუკასუს კაპიტალს“ მიაჩნია სანდოდ, თუმცა „კაუკასუს კაპიტალს“ არ შეუძლია რეიტინგის სიზუსტის გარანტირება.

## თავი 2 - ობლიგაციებით ვაჭრობის ზოგადი რისკები

ობლიგაციებით ვაჭრობა შეიძლება არ იყოს შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის. თუმცა ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება ხშირად მიიჩნევა კონსერვატულ ინვესტირებად, ობლიგაციებით ვაჭრობას რიგი რისკებისა ახლავს თან. თუ თქვენ ნებისმიერ ამ რისკთან დაკავშირებით გაქვთ დისკომფორტი - თქვენ ობლიგაციებით არ უნდა ივაჭროთ.

ობლიგაციებით ვაჭრობას თან ახლავს საკრედიტო რისკი. როცა თქვენ კორპორატიულ ობლიგაციას იძენთ, თქვენ ამ კომპანიას აძლევთ სესხს. ყოველთვის არის გარკვეული რისკი რომ კომპანია გაკოტრდეს. თუ ეს მოხდება, თქვენს ინვესტიციას უკან ვედარ დაიბრუნებთ. ეს არის რისკი რომელიც თქვენ გაცნობიერებული უნდა გქონდეთ. საკრედიტო რისკი ასახულია ობლიგაციის ფასში.

არსებობს აგრეთვე ობლიგაციის წინასწარი დაფარვის რისკი. წინასწარი დაფარვის რისკი გულისხმობს სცენარს, როცა ემიტენტი „გამოითხოვს“ ობლიგაციას. თუ ეს მოხდა, თქვენი

ინვესტიცია დაგიბრუნდებათ დროზე ადრე. ზოგი ობლიგაცია არის „გამოთხოვადი“, ზოგი კი - არა, და ეს ინფორმაცია დეტალურად აღწერილია ემისიის პროსპექტში. თუ ობლიგაცია არის „გამოთხოვადი“, ემისიის პროსპექტში მოცემული იქნება „შემოსავლიანობა-გამოთხოვნამდე“ პარამეტრის მნიშვნელობა. ემიტენტმა შეიძლება მოახდინოს ობლიგაციების გამოთხოვა როცა საპროცენტო განაკვეთები ეცემა ობლიგაციის მიმდინარე სარგებლიანობაზე დაბლა.

ობლიგაციის „დაბრუნების“ მუხლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებას აძლევს ობლიგაციის მფლობელის მოითხოვოს ემიტენტისგან ობლიგაციის ვადაზე ადრე დაფარვა ნომინალურ ფასად. ინვესტორებმა შეიძლება გამოიყენონ ეს უფლება თუ ხდება საპროცენტო განაკვეთების აწევა და მათ აქვთ შანსი, რომ სხვაგან უფრო მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღონ. ემიტენტმა ემისიის პროსპექტში შეიძლება განსაზღვროს კონკრეტული თარიღები, როცა ამგვარი ქმედების განხორციელება იქნება დასაშვები.

ვადაზე ადრე დაფარვის რისკიც აისახება ობლიგაციის ფასში.

ობლიგაციებით ვაჭრობისას ადგილი აქვს აგრეთვე ინფლაციის მნიშვნელოვან რისკს. ინფლაციის რისკი წარმოდგენს რისკს, რომ შემოსავლიანობა ობლიგაციის გამოთხოვნამდე ან დაფარვამდე ფლობისას არ აღემატება ინფლაციის დონეს შესაბამისი პერიოდისთვის და შედეგად ინფლაციის გათვალისწინებით ინვესტიციის შემოსავლიანობა ვერ იძლევა დადებით შედეგს. სხვა სიტყვებით, თუ ინფლაციის მაჩვენებელი ინვესტიციის პერიოდის განმავლობაში 6%-ია, ხოლო ობლიგაციის შემოსავლიანობა დაფარვამდე 4%, თქვენ მიიღებთ ძირითადი თანხის და დარიცხული სარგებლის სახით უფრო მეტ თანხას ვიდრე ჩადეთ, მაგრამ ამ თანხის ღირებულება უფრო ნაკლები იქნება ვიდრე იმ თანხისა, რომლის ინვესტირებაც მოახდინეთ ობლიგაციაში. როცა ინფლაციის დონე მატულობს, საპროცენტო განაკვეთებიც იწევს. თუმცა, ობლიგაციის მომგებიანობა იზრდება, მისი საბაზრო ფასი ვარდება. ეს არის ის რისკი, რომელიც თქვენ უნდა გააცნობიეროთ.

ობლიგაციებთან. დაკავშირებულია, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ნებისმიერი ობლიგაციის ვადის განმავლობაში იწვევს ობლიგაციის საბაზრო ღირებულების ცვლილებას „გამოთხოვნის“ თუ დაფარვის ვადის დადგომამდე.

### თავი 3. ობლიგაციებით ელექტრონული ვაჭრობის რისკები

„კაუკასუს კაპიტალი“ პრაქტიკულად ყველა გარიგებას დებს ელექტრონულ საბაზრო ცენტრებში. „კაუკასუს კაპიტალი“ აქვეყნებს ობლიგაციებზე ყიდვა-გაყიდვის წინადადებებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან და ბაზრებიდან და გამლევთ შესაძლებლობას დაიდოს თქვენი გარიგებები ამ ელექტრონულად მოწოდებული კოტირებების საპასუხოდ.

ბევრი სხვა საბროკერო კომპანიისგან განსხვავებით, „კაუკასუს კაპიტალი“ (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) არ ახორციელებს სატელეფონო ზარებს ობლიგაციების სხვადასხვა დილერთან ობლიგაციასთან დაკავშირებით თქვენი დავალების შესასრულებლად. პირიქით, „კაუკასუს კაპიტალი“ გამლევთ შესაძლებლობას რომ თქვენი დავალება პირდაპირ იქნას გატანილი ობლიგაციებით ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებზე.

ელექტრონულ ვაჭრობას რიგი უპირატესობების ახასიათებს (როგორცაა სიჩქარე, დაბალი ხარჯები და გამჭვირვალობა), მაგრამ მას ასევე გააჩნია რიგი უარყოფითი მახასიათებლებისა. ასე, გასათვალისწინებელია, რომ ობლიგაციების ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმების ლიკვიდურობა შეიძლება უფრო დაბალი იყოს ან ფასები ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე

ტელეფონით მოვაჭრე დილერებთან. ამას გარდა, ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებს, გარკვეული ალბათობით, თან ახლავს ტექნიკური შეცდომების და დროებითი გათიშვის რისკები.

#### **თავი 4. მარჟა**

როცა საბროკერო კომპანია ასესხებს კლიენტს ფასიანი ქაღალდის (მ. შ. ობლიგაციის) ყიდვისთვის აუცილებელი თანხის ნაწილს, ტერმინით „მარჟა“ აღინიშნება ის ფულადი სახსრები, რომელთა დეპონირებაც კლიენტმა წინასწარ უნდა მოახდინოს. ობლიგაციებით ვაჭრობა, აქციების მსგავსად შესაძლებელია მარჟით. სამარჟო ვაჭრობა (ანუ ვაჭრობა მარჟის გამოყენებით), თავისი არსით, უფრო სარისკოა სრულად გადახდილი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან შედარებით. მარჟით ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების გასაცნობად, გაეცანით „კაუკასუს კაპიტალის“ შეტყობინებას „სამარჟო ვაჭრობის რისკების შესახებ“.

#### **თავი 5. საკომისიოები, ფასნამატები და დათმობები**

„კაუკასუს კაპიტალის“ დახმარებით ობლიგაციებით ვაჭრობისას თქვენ დაგეგმისრებათ საკომისიო გადასახადები. ამას გარდა, ზოგ შემთხვევაში „კაუკასუს კაპიტალმა“ შეიძლება შეასრულოს ობლიგაციებზე თქვენი დავალება ისე, რომ გარიგების მეორე მხარედ, კანონმდებლობის/წესების დაცვით, გამოვიდეს თვით „კაუკასუს კაპიტალი“ ან მასთან აფილირებული პირი და ამგვარ გარიგებაში ჩადებული იყოს გარკვეული ფასნამატი ან დათმობა.

## სს „კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ ზოგადი შეტყობინება ერთობლივ ფონდებთან დაკავშირებით

### მნიშვნელოვანი ინფორმაცია ერთობლივი ფონდების შესახებ

1. „კაუკასუს კაპიტალი“, მისი ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით, სთავაზობს თავის კლიენტებს გარკვეულ ერთობლივ ფონდებში ინვესტირებას. უზრუნველყოფს რა თავისი კლიენტებისთვის ერთობლივი ფონდების ან ერთობლივ ფონდთა „ოჯახების“ (ჯგუფების) ხელმისაწვდომობას, „კაუკასუს კაპიტალი“ არავითარ შემთხვევაში არ იძლევა რომელიმე ფონდში განხორციელებული ინვესტიციის კლიენტისთვის შესაფერისობის გარანტიას და, ასევე, არ იძლევა რაიმე სახის რეკომენდაციას.
2. ინფორმაცია გასულ პერიოდებში რომელიმე ერთობლივი ფონდის წარმატების (ან წარუმატებლობის) შესახებ არ წარმოადგენს მომავალ პერიოდებში მისი წარმატების (ან წარუმატებლობის) საფუძველს. ერთობლივი ფონდის წარმატება/წარუმატებლობა (შემდგომში „შედეგიანობა“) იცვლება რიგი საბაზრო ფაქტორების კვალობაზე და მათი აქციების/პაების ფასები ყოველდღიურ მერყეობას განიცდის. აქციების/პაების დაფარვისას თქვენს მიერ მიღებული თანხა შეიძლება უფრო მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს, თქვენს თავდაპირველ ინვესტიციასთან შედარებით.
3. „კაუკასუს კაპიტალი“ იძლევა რეკომენდაციას, რომ კლიენტებმა რომელიმე ერთობლივი ფონდის აქციებში ინვესტირებამდე ყურადღებით წაიკითხონ ამ ფონდის ემისიის პროსპექტი. ემისიის პროსპექტი მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ფონდის მიზნების, საინვესტიციო სტრატეგიების, რისკების და ხარჯების შესახებ. კლიენტებს შეუძლიათ ფონდების ემისიის პროსპექტების ნახვა მათ შესაბამის ვებგვერდებზე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ „კაუკასუს კაპიტალს“ არ შეუძლია იმ ინფორმაციის სისრულის ან სიზუსტის დადასტურება ან სხვაგვარად გარანტირება, რაც მოცემულია ერთობლივი ფონდის ემისიის პროსპექტში, განცხადებაში, ანგარიშში თუ მინდობილობათა მოთხოვნის მასალებში.
4. ზოგიერთი ერთობლივი ფონდი ახდენს ინვესტიციებს უცხოურ/საერთაშორისო ფასიან ქაღალდებში. ამგვარი ინვესტიციების მქონე ერთობლივ ფონდებს ახასიათებთ დამატებითი რისკები, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სავალუტო კურსების მერყეობა, უცხოური გადასახადები, განსხვავებები მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე, კლიენტებს მოვუწოდებთ რომ ყურადღებით გაეცნონ საერთაშორისო ინვესტიციების განმახორციელებელი საინვესტიციო ფონდების ემისიის პროსპექტებს.
5. ზოგიერთ ფონდს შეიძლება დაწესებული ჰქონდეს მათი აქციების/პაების ფლობის მინიმალური პერიოდი. ზოგიერთმა ფონდმა შეიძლება დაგაკისროთ ვადამდელი დაფარვის საკომისიო გადასახადი, თუ აქციების/პაების დაფარვა ფლობის მინიმალური პერიოდის გასვლამდე განხორციელდა. გთხოვთ, მიმართოთ ემისიის პროსპექტს, ამგვარი პირობების გასაცნობად.
6. თქვენ, როგორც ერთობლივი ფონდის აქციონერმა/მეპაიემ, შეიძლება მიიღოთ თქვენი ინვესტიციიდან გამომდინარე დივიდენდები ან ფასთასხვაობით მიღებული მოგება. „კაუკასუს კაპიტალი“ არ იძლევა საგადასახადო რჩევებს. ერთობლივ ფონდებში მის ინვესტიციაზე გადასახადების ზემოქმედების დასადგენად, ინვესტორმა უნდა მიმართოს საგადასახადო მრჩეველს.
7. ერთობლივი ფონდების აქციებზე/პაებზე დადებულ გარიგებებზე „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ დადგენილ საკომისიო გადასახდელთან ერთად, ზოგიერთმა ფონდმა შეიძლება დააწესოს მარკეტინგული ან კლიენტთა მომსახურების გადასახდელი. კონკრეტული ერთობლივი ფონდის გადახდების და საკომპენსაციო პრაქტიკის შესახებ, გთხოვთ

გაეცნოთ ფონდის ემისიის პროსპექტს და განცხადებას დამატებითი ინფორმაციის შესახებ, ან მიმართოთ ფონდის ვებგვერდს.

8. ერთობლივი ფონდის აქციაზე/პაიზე დავალების ვადა. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ერთობლივი ფონდის აქციაზე/პაიზე ყველა დავალება, რომელიც მიღებულია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის სავაჭრო საათების დახურვამდე (როგორც წესი, ნიუ-იორკის ადგილობრივი დროით 16:00 საათამდე), შესრულდება ერთობლივი ფონდის იმდღევანდელი წმინდა აქტივების ღირებულების (NAV) ფასად (იმის გათვალისწინებით, რომ დავალება მიღებული სავაჭრო დღეს). ერთობლივი ფონდის აქციაზე/პაიზე ყველა დავალება, რომელიც მიღებულია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის სავაჭრო საათების დახურვის შემდეგ, შესრულდება ერთობლივი ფონდის მომდევნო სავაჭრო დღის წმინდა აქტივების ღირებულების (NAV) ფასად. ერთობლივი ფონდის აქციაზე/პაიზე ყველა დავალება, რომელიც მიღებულია იმ დღეს როცა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა დახურულია, შესრულდება ერთობლივი ფონდის მომდევნო სავაჭრო დღის წმინდა აქტივების ღირებულების (NAV) ფასად.



## „ჯერად“ (Leveraged) ან „შებრუნებულ“ (Inverse) ერთობლივ ფონდებთან დაკავშირებული რისკები

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ (შემდგომში „კაუკასუს კაპიტალი“) სთავაზობს თავის კლიენტებს წინამდებარე შეტყობინებას, რათა მიაწოდოს მათ დამატებითი ინფორმაცია ე.წ. „ჯერადი“ და „შებრუნებული“ ერთობლივი ფონდების ან ბირჟაზე ვაჭრობადი ფონდების (ETF) მახასიათებლების და მათთან დაკავშირებული რისკების შესახებ. ამ შეტყობინებასთან ერთად „კაუკასუს კაპიტალი“ მოუწოდებს თავის კლიენტებს, რომ კონკრეტულ ფონდში ინვესტირებამდე ყურადღებით გაეცნონ მის ემისიის პროსპექტს.

### ჯერადი ფონდები

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ჯერადი ერთობლივი ფონდები და ETF-ები მიზნად ისახავს, მიიღოს ისეთი ამონაგები, რომელიც ჯერადია იმ ამონაგებისა, რომელიც გენერირდება ამ ფონდის საფუძვლად მყოფი ინსტრუმენტის (მაჩვენებლის) ან ინდექსის მიერ. ასეთი ფონდები, საზოგადოდ, ცდილობენ მიიღონ საფუძვლად მყოფი ინსტრუმენტის (მაჩვენებლის) ან ინდექსის დღიური ამონაგების ჯერადი (მაგ. 200% ან 300%), გადასახადების და ხარჯების გამოკლებით. თავისი მიზნის მისაღწევად, ფინანსური ლევერაჟის გარდა, ამგვარი ფონდები იყენებენ ისეთ წარმოებულ პროდუქტებს, როგორცაა სვოპები, ოფციონები და ფიუჩერსული კონტრაქტები. ფინანსური ლევერაჟის და წარმოებული ინსტრუმენტების გამოყენება განაპირობებს ჯერადი ფონდების უფრო მაღალ ვოლატილურობას და მათი ფასების მკვეთრ მერყეობას.

### შებრუნებული ფონდები

შებრუნებული ერთობლივი ფონდები და ETF-ები, რომლებსაც ხშირად „მოკლე პოზიციების“, ან უბრალოდ „მოკლე“ ფონდებს უწოდებენ (short funds) მიზნად ისახავს, მიიღოს ისეთი ამონაგები, რომელიც საპირისპიროა იმ ამონაგებისა, რომელიც გენერირდება ამ ფონდის საფუძვლად მყოფი ინსტრუმენტის (მაჩვენებლის) ან ინდექსის მიერ. შებრუნებული ფონდები ხშირად პოზიციონირდება როგორც ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია მოგების გამომუშავება ან ზარალის ჰეჯირება ბაზრის დადამავალი ტრენდისას. ზოგი შებრუნებული ფონდი ასევე იყენებს ფინანსურ ლევერაჟს, რის შედეგადაც მათი ამონაგები საპირისპიროა იმ ამონაგების ჯერადისა, რომელიც გენერირდება ამ ფონდის საფუძვლად მყოფი ინსტრუმენტის (მაჩვენებლის) ან ინდექსის მიერ (მაგ., -200% ან -300%). თავისი მიზნის მისაღწევად, ფინანსური ლევერაჟის გარდა, ამგვარი ფონდები იყენებენ ისეთ წარმოებულ პროდუქტებს, როგორცაა სვოპები, ოფციონები და ფიუჩერსული კონტრაქტები. ფინანსური ლევერაჟის და წარმოებული ინსტრუმენტების გამოყენება განაპირობებს შებრუნებული ფონდების უფრო მაღალ ვოლატილურობას და მათი ფასების მკვეთრ მერყეობას.

### ჯერად და შებრუნებულ ფონდებთან დაკავშირებული რისკები

ჯერადი და შებრუნებული ფონდების წილები (აქციები, პაეები) წარმოადგენს რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული უფრო გათვითცნობიერებული ინვესტორების მიერ, რომელთაც სრულად ესმით ამ ფონდების პირობები, საინვესტიციო სტრატეგია და მათთან დაკავშირებული რისკები. კერძოდ, კლიენტები უნდა აცნობიერებდნენ სპეციფიკურ რისკებს, რაც დაკავშირებულია ჯერადი და შებრუნებული ფონდების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან. ეს რისკები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს:



- ლევერაჟის და წარმოებული ინსტრუმენტების გამოყენება: ბევრი ჯერადი და შებრუნებული ფონდი იყენებს ლევერაჟს და წარმოებულ ინსტრუმენტებს თავისი გაცხადებული მიზნების მისაღწევად. ამის გამო, ეს ფონდები არიან უაღრესად ვოლატილური და პოტენციურად მნიშვნელოვანი ზარალის მატარებლები. კაპიტალდაბანდება ამგვარ ფონდებში ითვლება სპეკულაციურ ინვესტიციად და უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ისეთი ინვესტორების მიერ, ვინც სრულად აცნობიერებს ამ რისკებს და აქვს სურვილი და შესაძლებლობა გაუმკლავდეს პოტენციურად მნიშვნელოვან ზარალს.
- ჯერადი და შებრუნებული ფონდების უმრავლესობა ორიენტირებულია დღიურ ამონაგებზე: ჯერადი და შებრუნებული ფონდების უმრავლესობის „გადატვირთვა“ ხდება ყოველდღიურად, რაც ნიშნავს, რომ მათი პორტფელი ფორმირებულია ისე, რომ გაცხადებული მიზნის მიღწევა ხდებოდეს ყოველდღიურ საფუძველზე. ე.წ. „კომპულატიური“ (compounding) ეფექტის გამო, ამონაგები იმ ინვესტორთათვის, ვინც ინვესტირებას ერთი სავაჭრო დღისგან განსხვავებული პერიოდით ახდენს, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფონდის გაცხადებული მიზნისგან, და ასევე, ფონდის საფუძვლად მყოფი ინსტრუმენტის ქცევისგან. ეს ეფექტი განსაკუთრებით მძაფრდება ბაზრების მაღალი მერყეობის პერიოდებში ან თუ ჯერად ფონდს საფუძვლად უდევს ძალიან მერყევი (ვოლატილური) ინდექსი. ჯერად და შებრუნებულ ფონდებში ინვესტიცია საჭიროებს ყოველდღიურ აქტიურ მონიტორინგს და არ არის შესაფერისი ე.წ. „იყიდე-და-დაელოდე“ სტრატეგიისთვის.
- მაღალი საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები: ინვესტორებმა უნდა იცოდნენ, რომ ჯერადი ფონდები, ბაზრის საერთო მდგომარეობის მოსალოდნელ ცვლილებათა კომპენსირების მიზნით, როგორც წესი, ახალისებენ (აბალანსებენ) თავის პორტფელს ყოველდღიურად. ამგვარი გადახალისებას, როგორც წესი მოითხოვს ხშირ ვაჭრობას და პორტფელის აქტიური ბრუნვას. ამის გამო ჯერად და შებრუნებულ ფონდებს, საზოგადოდ, გააჩნიათ უფრო მაღალი საოპერაციო ხარჯები და პორტფელის მართვის გადასახდელები ვიდრე სხვა ფონდებს.
- ჯერადი და შებრუნებული ფონდების საგადასახადო ასპექტები: ზოგიერთ შემთხვევებში ჯერადი და შებრუნებული ფონდები აგენერირებენ თავის ამონაგებს წარმოებული ინსტრუმენტების გამოყენებით. ვინაიდან წარმოებული ინსტრუმენტების დაბეგვრა განსხვავდება წილობრივი და სასესხო ფასიანი ქაღალდების დაბეგვრისაგან, ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ფონდებს შეიძლება არ გააჩნდეთ იგივე საგადასახადო ეფექტიანობა, როგორც, შესაძლოა აქვთ ჩვეულებრივ ფონდებს.

## ღია სიტყვიერი აუქციონის („ორმოს“) ტიპის ბაზრებზე სავაჭრო აქტივობასთან დაკავშირებული შეტყობინება

ზოგიერთი ბირჟა, რომელზეც შეიძლება თქვენ გააგზავნოთ დავალება სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ („კაუკასუს კაპიტალი“) მეშვეობით არის არა-ელექტრონული ღია სიტყვიერი აუქციონის ტიპის საბაზრო მოედანი. „კაუკასუს კაპიტალის“ სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით მოცემული დავალებები ასეთ ბაზრებს მიეწოდება ელექტრონულად, მაგრამ შემდგომ გადაეცემა ე.წ. „სავაჭრო ორმოს“ ხელით და ეს, შესაძლოა, დროში გარკვეული შეფერხებით მოხდეს, რაც ამგვარი ბაზრების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს. გარიგება იდება როცა ორი ბროკერი ხვდება ერთმანეთს „სავაჭრო ორმოს“ და სიტყვიერად თანხმდება გარიგების ფასსა და სხვა დეტალებზე.

ასეთ ბირჟებზე მოქმედებისას ტრეიდერმა უნდა იცოდეს შემდეგი:

- ყველა დავალება (ახალი დავალება, დავალების მოდიფიცირება თუ გაუქმება) ექვემდებარება გარკვეულ შეყოვნებას რაც დაკავშირებულია დავალების მიწოდების პროცესთან. შეყოვნების პერიოდი, როგორც წესი 30-60 წამია, მაგრამ შეიძლება რამდენიმე წუთი ან გაცილებით მეტი შეადგინოს განსაკუთრებით აქტიური ბაზრის მომენტებში, როგორცაა სავაჭრო სესიის გახსნა ან დახურვა.
- დავალების ხშირმა მოდიფიკაციამ (რაოდენობის ან ფასის) შეიძლება ხშირად გამოიწვიოს ხარვეზები დავალების შესრულებაში, ვინაიდან მოდიფიკაცია გულისხმობს მანამდე არსებული დავალების გაუქმებას და ახალი დავალების ამოქმედებას. თუ მოდიფიკაციები წარედგინება უფრო დიდი სიხშირით (უფრო მცირე დროით შუალედებში), ვიდრე მათი დამუშავებისთვის არის საჭირო, იზრდება არამარტო დავალებათა შესრულების ხარვეზების, არამედ, საერთოდ მათი შეუსრულებლობის ალბათობაც.
- არ მუშაობს დროითი თუ ფასის პრიორიტეტი. შესაძლებელია, რომ დავალება არ შესრულდეს, მიუხედავად იმისა, რომ ცხადდება, რომ გარიგებები იდება/დაიდო დავალების ბილეთში მითითებულ ან უკეთეს ფასებშიც კი.
- „საბაზრო“ დავალებები (დავალებები „საბაზრო ფასად“) შეიძლება შესრულდეს არახელსაყრელ ფასებში. „საბაზრო“ დავალებების მიცემა დაშვებულია, მაგრამ არაა რეკომენდირებული.
- გაუქმებული დავალებები შეიძლება შესრულდეს. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა ანგარიში დავალების შესრულების შესახებ იგვიანებს ბაზრის დიდი მოცულობის გამო. როცა გაუქმების დავალება იგზავნება, „სავაჭრო ორმოს“ ბროკერი ხშირად იძულებულია უპასუხოთ შემდეგი შეტყობინებით: „შესრულებულია, გაუქმება დაგვიანებულია“.

„კაუკასუს კაპიტალი“ აცნობიერებს სიტყვიერი აუქციონის ტიპის ვაჭრობის შეზღუდულობას ელექტრონულ ვაჭრობასთან შედარებით და თავისი ელექტრონული სავაჭრო სისტემა შეიმუშავა იმგვარად, რომ თავი აარიდოს რაც შეიძლება მეტ პრობლემას. მიუხედავად ამისა, ტრეიდერები არ უნდა ელოდნენ „კაუკასუს კაპიტალისგან“ იმავე დონის შედეგებს „სავაჭრო ორმოს“ ტიპის ბაზრებიდან, როგორსაც ელექტრონულ მოედნებზე აქვს ადგილი.

მე ვაცნობიერებ სიტყვიერი აუქციონის („სავაჭრო ორმოს“) ტიპის ბაზრების შეზღუდულ შესაძლებლობებს და ვაცხადებ და ვეთანხმები, რომ „კაუკასუს კაპიტალი“ არ იქნება პასუხისმგებელი იმ გაჭიანურებებსა თუ შეცდომებზე, რაც მის კონტროლს არ ექვემდებარება და დაკავშირებულია სიტყვიერი აუქციონის სავაჭრო პროცესის ხელით და ვერბალურად წარმოების თავისებურებებთან.

## შეტყობინება „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ დავალებათა მარშრუტირების შესახებ

### 1. „კაუკასუს კაპიტალის“ დავალებათა მარშრუტირების სისტემა

თავის კლიენტთა დავალებების შესასრულებლად „კაუკასუს კაპიტალი“ იყენებს ერთერთი უმსხვილესი საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიის მომსახურებას (შემდგომში „საერთაშორისო საბროკერო“), რომელსაც შექმნილი აქვს რეალურ დროში მოქმედი მაღალსიჩაქრიანი „საუკეთესო შესრულების“ განმხორციელებელი დავალებათა მარშრუტირების სისტემა SmartRouting, რომელიც გამიზნულია აქციებზე და ოფციონებზე დავალებათა შესრულების ფასის, სიჩქარის და ხარჯების ოპტიმიზაციაზე. SmartRouting სისტემა მუდმივი დახვეწის და გაუმჯობესების პროცესშია რათა უზრუნველყოს ბაზარზე არსებულ ცვლილებებთან, ახალ ბირჟებთან, ახალ წესებთან და ა.შ. პერმანენტული ადაპტაცია. SmartRouting სისტემა მუდმივად ახდენს კონკურენტი საბაზრო ცენტრების სკანირებას და ავტომატურად პოულობს მარშრუტს დავალების საუკეთესო ბაზარზე შესასრულებლად, ითვალისწინებს რა კოტირების მოცულობას, კოტირების ფასს, ბირჟის თუ ალტერნატიული სავაჭრო სისტემის ეფექტურ ტრანზაქციულ ხარჯებს და ფასის გაუმჯობესების შესაძლებლობას (ანუ შესრულებას ე.წ. „ეროვნულ საუკეთესო ყიდვის ან გაყიდვის ფასზე“ (NBBO) უკეთეს ფასად), SmartRouting სისტემა მუდმივად ახდენს საბაზრო პირობების და ფასების ხელახალ შეფასებას მიღებული დავალებებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, დინამიურად ახდენს მათი მარშრუტირების კორექტირებას.

ზოგიერთი პროდუქტისთვის „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტებს შეუძლიათ მიმართონ თავისი დავალებები კონკრეტულ ბაზარზე თავისი არჩევანის მიხედვით, თუმცა „კაუკასუს კაპიტალი“ თავის კლიენტებს ურჩევს, რომ ყოველთვის გამოიყენონ SmartRouting სისტემა.

საერთაშორისო საბროკერო ასევე უწევს ოპერირებას ალტერნატიულ სავაჭრო სისტემას (ATS), აშშ ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიის ATS წესის შესაბამისად, რომელზეც ის დებს გარიგებებს საკუთარ კლიენტებს შორის ან საკუთარ კლიენტსა და ლიკვიდურობის პროფესიულ მომწოდებელ(ებ)ს შორის, რომლებიც აგზავნიან თავის დავალებებს ამ ATS-ზე. დავალებათა შესრულება ATS-ზე არის უფრო სწრაფი, გამოირიცხავს საბირჟო ხარჯებს და იძლევა ფასების გაუმჯობესების შესაძლებლობას NBBO-სთან შედარებით.

### 2. შესაბამისობა ეროვნული ბაზრის სისტემასთან (NMS)

აშშ ფასიანი ქაღალდებისთვის SmartRouting სისტემა ისეა შექმნილი, რომ შეესაბამებოდეს აშშ ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბირჟების კომისიის ე.წ. „ეროვნული ბაზრის სისტემის (NMS) შესახებ“ წესის მოთხოვნებს და თავისი კლიენტების დავალებათა „საუკეთესო შესრულების“ უზრუნველყოფას. SmartRouting სისტემა დაკავშირებულია და პირდაპირ იღებს მონაცემებს პრაქტიკულად ყველა საფონდო ბირჟიდან და საჯარო საბაზრო ცენტრიდან. SmartRouting სისტემას ასევე აქვს წვდომა სხვა მსხვილი საბროკერო კომპანიების ალტერნატიულ სავაჭრო სისტემებთან (ATS). შესაბამისად, SmartRouting სისტემას აქვს შესაძლებლობა რომ მოახდინოს დავალების მარშრუტირება (გაგზავნა) პირდაპირ ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე (ბაზრებზე), ყველა სათანადო პირობის გათვალისწინებით. თუ დავალება არ შესრულდა დაუყოვნებლივ, მაშინ SmartRouting სისტემა მონიტორინგს უწევს ღია (შეუსრულებელ) დავალებას და, უმეტეს შემთხვევებში,

აუქმებს და გადაამისამართებს მას, თუ საბაზრო პირობები ან ფასები შეიცვალა და სხვა საბაზრო ცენტრი უფრო ხელსაყრელი გახდა ამ დავალების შესასრულებლად. თუ დავალების მოცულობა ძალიან დიდია რომ საუკეთესო ფასად იქნას შესრულებული ერთ ბირჟაზე ან საბაზრო ცენტრში, SmartRouting სისტემა, როგორც წესი, ანაწევრებს ამ დავალებას და აგზავნის მას რამდენიმე მიმართულებით, რათა უზრუნველყოს ყველაზე სწრაფი შესრულება ყველაზე ხელსაყრელ ფასად.

### **3. ბაზართშორისი „მხვეტავი“ დავალება აშშ ეროვნული ბაზრის სისტემის აქციებისთვის**

ვინაიდან SmartRouting სისტემა მონიტორინგს უწევს ყველა ხელმისაწვდომ ბაზარს და შექმნილია იმგვარად, რომ უზრუნველყოს დავალებათა გაგზავნა ბაზრებზე, რომლებიც საუკეთესო ფასს აქვეყნებენ, ამიტომ SmartRouting სისტემის მიერ ბირჟებზე წარდგენილი დავალებები, საზოგადოდ, მონიშნულია როგორც ე.წ. „ბაზართშორისი „მხვეტავი“ დავალება“ ("Intermarket Sweep Order" (ISO)), რაც ნიშნავს, რომ ამ დავალების მიმღები ბირჟა ამ დავალებას შეასრულებს იმის გათვალისწინებით (იმ რწმენით, იმაზე დაყრდნობით), რომ SmartRouting სისტემამ ვერ აღმოაჩინა უკეთესი ფასი ამ დავალებისთვის სხვაგან, ან რომ იმავე ან თითქმის იმავე დროს გაგზავნილმა სხვა დავალებებმა უკვე მოხსნეს ნებისმიერი უკეთესი კოტირება სხვა ბირჟისა თუ საბაზრო ცენტრიდან. ამასთან, SmartRouting სისტემას გააჩნია სათანადო პროცედურები რათა მონიტორინგი გაუწიოს მისი კავშირის უწყვეტობას სხვადასხვა ბირჟასა თუ საბაზრო ცენტრთან, ასევე საბაზრო მონაცემთა მიწოდების ხარისხს და დავალებათა შესრულების ხარისხს. თუ ბირჟის სისტემა ან SmartRouting სისტემა განიცდის ტექნიკურ შეფერხებას, ან თუ SmartRouting სისტემა არ არის დაკავშირებული საუკეთესო კოტირების მოძიოდებელ ბაზართან, სისტემამ შესაძლოა მიაწოდოს დავალება ბირჟას ISO სტატუსის მინიჭების გარეშე. ეს მისცემს შესაძლებლობას დავალების მიმღებ ბირჟას, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გადაამისამართოს დავალება სხვა ბაზარზე, რომელიც უკეთეს ფასს სთავაზობს.

### **4. სავაჭრო სესიის გახსნის მომენტთან მიახლოებულ პერიოდში გაგზავნილი დავალებები**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბაზრები განსაკუთრებით ვოლატილური შეიძლება იყოს სავაჭრო სესიის გახსნის მომენტთან მიახლოებულ პერიოდებში, როდესაც ფასები და ხელმისაწვდომი მოცულობა სწრაფად იცვლება და მონაცემთა მოწოდება სხვადასხვა ბაზრებიდან ფერხდება ან სრულიად წყდება. „კაუკასუს კაპიტალი“ ვერ იძლევა გარანტიას, რომ სავაჭრო სესიის გახსნის მომენტთან მიახლოებულ პერიოდებში გამოგზავნილი დავალებები შესრულდება საუკეთესო გამოქვეყნებულ ფასებში. შესაძლოა, სავაჭრო სესიის გახსნისას თქვენ განიხილოთ „ლიმიტური“ დავალების მოცემა, თუმცა „საბაზრო“ დავალება უნდა გამოიყენოთ თუ გნებავთ მისი შესრულების უფრო მაღალი ალბათობის უზრუნველყოფა.

### **5. დავალების გარდაქმნა და დამატებითი პირობებით შეზღუდვა**

„საერთაშორისო საბროკერომ“ შეიძლება გარკვეული დავალების ტიპები, მათი შესრულების უზრუნველსაყოფად, გარდაქმნას ან შეზღუდოს დამატებითი პირობებით. მაგალითად, „საერთაშორისო საბროკერომ“ შეიძლება გარკვეული დავალების ტიპების სიმულირება მოახდინოს მათზე სათანადო შეზღუდვების დაწესებით. სიმულირებული დავალების ტიპები შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგალითად, როცა ბირჟა არ სთავაზობს გარკვეული ტიპის დავალებებს ან როცა „საერთაშორისო საბროკერომ“



გადაწყვიტა არ შესთავაზოს თავის კლიენტებს გარკვეული ტიპის დავალებები, რომლებიც სპეციფიკურად „ორგანული“ („ბუნებრივი“) არიან ამ ბირჟებისთვის. ამას გარდა, შეიძლება გაიგზავნოს „დაუყოვნებლივ-ან-გააუქმე“ (Immediate or Cancel), „შეასრულე-ან-მოკალი“ (Fill-Or-Kill), „ყველაფერი-ან-არაფერი“ (All-Or-None) და ა.შ. ტიპის დავალებები რათა უზრუნველყოფილ იქნას დაუყოვნებლივი ავტომატური შესრულება, კლიენტის დავალების მიზნის შესაბამისად. ფასების მნიშვნელოვანი და სწრაფი ცვლილებებისგან კლიენტის დავალების დასაცავად, „საერთაშორისო საბროკერო“ შესაძლოა მოახდინოს ბირჟებზე „საბაზრო დავალებების“ სიმულაცია ყიდვა-გაყიდვის შიდა დერეფნიდან პროცენტული გადახრის ზღვრის დაწესებით შესრულებისთვის. „საერთაშორისო საბროკერო“ ასევე შესაძლოა, ზემოდან შემოსაზღვროს ყიდვის „ლიმიტური“ დავალებები, ხოლო ქვემოდან - გაყიდვის „ლიმიტური“ დავალებები. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეზღუდვები წესდება იმგვარ დონეებზე, რომ ბალანსი იქნას დაცული ერთი მხრივ, შესრულების გარანტიის მიზანსა, ხოლო, მეორეს მხრივ, ფასის რისკის მინიმიზაციის მიზანს შორის, მაინც რჩება მცირე ალბათობა იმისა, რომ დავალების შესრულება გადაიდოს ან ის საერთოდ არ შესრულდეს. ამას გარდა, „საერთაშორისო ბროკერი“ ვალდებულია, ბირჟების და რეგულატორების მოთხოვნათა შესაბამისად, ჩადებული ჰქონდეს თავის სისტემებში „ფილტრები“, რომლებიც ზღუდავენ დავალებათა შესრულებას ისეთ ფასებში, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან, როგორც მოწესრიგებული ბაზრის შემაშფოთებელ (დამრღვევ) ფაქტორად (ან შესაძლოა, ბირჟებს ჰქონდეთ ამგვარი „ფილტრები“ ჩადებული თავის სისტემებში). ამ ფილტრებმა შეიძლება გამოიწვიონ „საბაზრო“ დავალების შეუსრულებლობა ან შესრულების გადავადება, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტს სურს დავალების დაუყოვნებლივი შესრულება განსაზღვრულ ფასად.

## 6. „ბნელი პულები“, ლიკვიდურობის მომწოდებლები და მსგავსი ურთიერთობები

საერთაშორისო საბროკერო არ ახდენს თავის დავალებათა ნაკადის მიყიდვას სხვა საბროკეროსთვის მათ შესასრულებლად. SmartRouting სისტემის მეშვეობით საერთაშორისო საბროკერო ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ მიღებულ დავალებას და განსაზღვრავს, თუ სად იქნება მისი შესრულება ოპტიმალური.

### A. აქციებზე და ბირჟაზე ვაჭრობად ფონდებზე (ETFs) დავალებების შესრულება „ბნელ პულებსა“ და ალტერნატიულ სავაჭრო სისტემებში (ATS)

საერთაშორისო საბროკეროს აქვს კავშირი ე.წ. „ბნელი პულების“ ალტერნატიულ სავაჭრო სისტემებთან (ATS), (მათ შორის საკუთარ ATS-თან), რომლებზეც ხდება „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტთა აქციებზე დავალებების ნაწილის შესრულება. საერთაშორისო საბროკეროს და „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტები სარგებელს იღებენ „ბნელ პულებზე“ საერთაშორისო საბროკეროს წვდომის გამო. „ბნელი პულები“ წარმოადგენს მნიშვნელოვანი დამატებითი ლიკვიდურობის წყაროს. „ბნელ პულებს“ არ გააჩნიათ დავალებათა შესრულების გადასახადი ან ეს გადასახადი მცირეა ბირჟებთან შედარებით. „ბნელი პულები“ ასევე სთავაზობენ სწრაფ შესრულებას და „ეროვნულ საუკეთესო ყიდვა-გაყიდვის კოტირებებზე“ (NBBO) უკეთეს ფასად შესრულების შესაძლებლობას.

B. ურთიერთობები ლიკვიდურობის მომწოდებლებთან საერთაშორისო საბროკეროს ალტერნატიულ სავაჭრო სისტემაში (ATS)

საერთაშორისო საბროკეროს დამყარებული აქვს ურთიერთობები გარკვეულ ინსტიტუტებთან, რის საფუძველზეც ეს ინსტიტუტები აგზავნიან თავის დავალებებს საერთაშორისო საბროკეროს ATS-ში „ეროვნულ საუკეთესო ყიდვა-გაყიდვის კოტირებების“ (NBBO) ან მათთან მიახლოებულ ფასებში. ეს დავალებები შეყოვნებულია (დროებით ინახება) საერთაშორისო საბროკეროს სისტემაში და მათი გამოქვეყნება არ ხდება აშშ-ის ეროვნულ ბაზარზე. თუ „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტის დავალების შესრულება შესაძლებელია ამგვარ შეყოვნებულ დავალებასთან შეწყვილებით („ეროვნულ საუკეთესო ყიდვა-გაყიდვის კოტირებების“ (NBBO) ან მათთან მიახლოებულ ფასებში) მაშინ ამგვარი შეწყვილება მოხდება და განხორციელებული გარიგების შესახებ შეტყობინება გაიგზავნება „ეროვნული ბაზრის სისტემაში“. ამგვარი ურთიერთობები და სისტემა იძლევა დამატებით პოტენციურ ლიკვიდურობას „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტთა დავალებებისთვის და ზრდის დავალებათა შესრულების სისწრაფეს (ვინაიდან არ ჩნდება დავალებათა ბირჟებზე გაგზავნის აუცილებლობა), ასევე იძლევა ფასების გაუმჯობესების შესაძლებლობას (ვინაიდან დავალებები შეიძლება შესრულდეს ბირჟებზე იმ მომენტისთვის არსებულზე უკეთეს ფასად).

C. ზოგიერთ „არასაბაზრო“ (არალიკვიდურ) აქციებზე და ბირჟაზე ვაჭრობად ფონდებზე (ETFs) დავალებების მარშრუტირება

როცა „კაუკასუს კაპიტალი“ იღებს დავალებას კლიენტისგან „არასაბაზრო“ (არალიკვიდურ) აქციასა თუ ETF-ზე, საერთაშორისო საბროკერომ შეიძლება ამგვარი დავალების გარკვეული ნაწილი განათავსოს საჯარო ბაზარზე და დარჩენილი ნაწილი დაიტოვოს საკუთარ ალტერნატიულ სავაჭრო სისტემაში (ATS)-ში, სადაც ის შეიძლება შეეთანადოს ლიკვიდურობის მომწოდებლის პირობით დავალებას, რომელშიც ის იღებს ვალდებულებას რომ გარიგება დადოს კლიენტის დავალების დარჩენილ ნაწილზე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის დავალების იმ ნაწილზე, რომელიც გაგზავნილი იყო საჯარო ბაზარზე, გარიგება დაიდო. როდესაც ლიკვიდურობის მომწოდებელმა აიღო გარიგების დადების ზემოაღნიშნული ვალდებულება, მას არა აქვს თავისი დავალების გაუქმების უფლება (ან თავისი დავალების იმ ნაწილის გაუქმების უფლება, რომელიც გამიზნული იყო კლიენტის დავალების შესასრულებლად, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის დავალების საჯაროდ გატანილი ნაწილი შესრულდა), თუ ლიკვიდურობის მომწოდებელი შეეცდება რომ გააუქმოს ზემოაღნიშნული ვალდებულებით დატვირთული დავალება მთლიანად ან ნაწილობრივ, იგი მიიღებს შეტყობინებას გაუქმების მოთხოვნის უარყოფის შესახებ (ანუ ლიკვიდურობის მომწოდებელს შეატყობინებენ, რომ არსებობს საერთაშორისო ბროკერის კლიენტის დავალება, რომლის შესრულებაც მას აქვს აღებული). ლიკვიდურობის მომწოდებელს არ გააჩნია ინფორმაცია კლიენტის დავალების ზომის თუ ფასის შესახებ. ამგვარი შეთანხმება აძლევს დამატებით ლიკვიდურობას „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტებს.



## შეტყობინება პირადი ინფორმაციის დაცულობის შესახებ

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფში“ (შემდგომში „კაუკასუს კაპიტალი“) ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია. თქვენს მიერ ჩვენთვის გაზიარებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა და დაცულობა. სწორედ ამიტომ ჩვენ შემუშავებული გვაქვს სპეციალური პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლის მიზანია თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცულობა.

ჩვენთან ანგარიშის გახსნით ან „კაუკასუს კაპიტალის“ დახმარებით ხელმისაწვდომი პროდუქტების და მომსახურების გამოყენებით, თქვენ თანხმობას გვაძლევთ პირადი ინფორმაციის შეგროვებასა და მის გამოყენებაზე, წინამდებარე პირადი ინფორმაციის დაცულობის შეტყობინების შესაბამისად. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ყურადღებით წაიკითხოთ ეს შეტყობინება.

„კაუკასუს კაპიტალი“ არ ახდენს მისი კლიენტების ელექტრონული ფოსტის მისამართებს მიყიდვას მესამე პირებისთვის.

იმისთვის, რომ გაგიწიოთ საბროკერო მომსახურება მარეგულირებელი მოთხოვნათა სრული დაცვით, „კაუკასუს კაპიტალი“ ვალდებულია მიიღოს თქვენგან გარკვეული პერსონალური არასაჯარო ინფორმაცია. ეს მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- „კაუკასუს კაპიტალში“ ანგარიშის გახსნის განაცხადის (აპლიკაციის) შევსებისას მოწოდებულ მონაცემებს (მაგ., თქვენი სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, საინვესტიციო მიზნები და ა.შ.);
- თქვენს მიერ „კაუკასუს კაპიტალის“ სისტემის მეშვეობით ტრანზაქციების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია.

ჩვენ ვიცავთ თქვენი ინფორმაციის კონფიდენციალურობას მთელი რიგი საშუალებებით. მაგალითად:

- ჩვენ არ ვყიდით ჩვენი კლიენტების სიებს ან თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციას.
- თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციაზე წვდომა „კაუკასუს კაპიტალში“ დაშვებულია მხოლოდ იმ თანამშრომელთათვის, აგენტებისა თუ აფილირებული პირებისთვის, რომელთაც ამგვარი ინფორმაციის ცოდნა სჭირდებათ „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ თქვენთვის მოწოდებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
- ჩვენ ვახორციელებთ მკაცრ პოლიტიკას, რომელიც უკრძალავს თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ წვდომა თქვენს პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციაზე, გამოიყენონ ან გაამჟღავნონ ეს ინფორმაცია არასამსახურებრივი მიზნებისთვის.
- ჩვენ მივმართავთ სიფრთხილის მნიშვნელოვან ზომებს თქვენი პერსონალური არასაჯარო ინფორმაციის დასაცავად. მაგალითად, „კაუკასუს კაპიტალის“ სისტემაში შესვლა შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს მოქმედი მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ამას გარდა, ჩვენი ინტერნეტ-სისტემები მოიცავს უსაფრთხოების ისეთ ზომებს, როგორიცაა დაშიფრვა (კოდირება) და „ფაიერვოლები“.

ჩვენ არ ვუზიარებთ პერსონალურ არასაჯარო ინფორმაციას ფიზიკურ პირებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან აფილირებული „კაუკასუს კაპიტალთან“, გარდა

კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მაგალითად, ჩვენ ამგვარი ინფორმაცია შეიძლება გავუმჟღავნოთ ან ანგარიშის სახით წარვადგინოთ:

- თქვენს მიერ მოთხოვნილი (ან ავტორიზებული) ოპერაციის ავტორიზაციის, განხორციელების, დადასტურების, ადმინისტრირების ან შესრულების მიზნით;
- რათა ვაწარმოოთ და ადმინისტრირება გავუწიოთ თქვენს ანგარიშს;
- რათა მოგაწოდოთ დადასტურებები, ჩანაწერები და ამონაწერები ანგარიშიდან;
- რათა ვაწარმოოთ სათანადო საარქივო ჩანაწერები;
- როცა ჩავთვლით, რომ ამგვარ გამჟღავნებას ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი კანონი, წესები ან რეგულაციები;
- სამართალდამცავ, მარეგულირებელ ან თვითრეგულირებად ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით;
- ჩვენთან დადებული საბროკერო მომსახურების თუ სხვა ხელშეკრულების მოთხოვნათა აღსრულების მიზნით;
- ჩვენი ვალდებულებების შესრულების მიზნით; ან
- ჩვენი უფლებების და ქონების დაცვის მიზნით.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დაცვით, ჩვენ შეიძლება „ანონიმიზირებული“ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ ან დაგვიანებული (დროში შეყოვნებული) ინფორმაცია დავალებების შესახებ გავუზიაროთ მესამე პირებს (ან/და გავაზიაროთ ამგვარი ინფორმაცია ჩვენს აფილირებულ პირებს შორის) ანალიზის, კვლევის, საბაზრო მონაცემთა კომპილაციის, პროდუქტის შექმნის, დავალებათა მარშრუტირების ან შესრულების ურთიერთობათა დამყარების, ან ნებისმიერ სხვა კანონიერი მიზნით.

თუ გაქვთ რაიმე დამატებითი კითხვები აქ წარმოდგენილი პოლიტიკის შესახებ, გთხოვთ ელექტრონული ფოსტით ან „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდის მეშვეობით მიმართოთ კლიენტთა მომსახურების განყოფილებას.